rallyraid.ge

დებულება

უდაბნო 2023 – რალი რეიდის

I ეტაპი

1. შესავალი
2. ღონისძიების განრიგი
3. ოფიციალური პირები
4. სპეც მონაკვეთები
5. დაშვებული ტექნიკა
6. კატეგორიები და ქვე კატეგორიები
7. რეგისტრაცია და საფასური
8. სასტარტო ნომრები
9. სავალდებულო წარწერები, რეკლამირება
10. შეჯიბრის ჩატარების წესები
11. პროტესტი, აპელაცია
12. გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოვება

1. შესავალი

უდაბნო 2023 არის რელი რეიდის სერიები რომელიც ჯამში გაიმართება 3 ეტაპად, 28 მაისს ჩატარდება პირველი საცდელი ეტაპი.

ღონისძიება იმართება სსსფ-ს სპორტული კოდექსის, მისი დანართების, შეჯიბრების რეგლამენტის, მისი დანართების, შეჯიბრების ტექნიკური მოთხოვნების, ამ დებულებისა და მისი დანართების შესაბამისად.

რალი რეიდი ტარდება საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენად, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისა და ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

ღონისძიების მიზანია მოამზადოს მრბოლელები მსგავსი ტიპის რბოლებში მონაწილეობის მისაღებად სხვა ქვეყნებში, როგორებიც არის: FIA Cross-Country Rally, Dakar Rally, და სხვა.

2. ღონისძიების განრიგი

28.04.23
09:00 დებულების გამოქვეყნება
15:00 რეგისტრაციის გახსნა
20.05.23
23:00 რეგისტრაციის დახურვა
22.05.23
15:00 მონაწილეთა სიის გამოქვეყნება
27.05.23
10:00 – ადმინისტრაციული შემოწმება
12:00 - ტექნიკური შემოწმება
15:00 - გენერალური ბრიფინგი
16:00 - კვალიფიკაცია
18:00 - საკვალიფიკაციო შედეგების გამოქვეყნება

28.05.23
08:00 - წინა სასტარტო ბრიფინგი
10:00 - სპეც მონაკვეთი 1- სტარტი
13:00 - სპეც მონაკვეთი 1 – ფინიში
14:00 - სპეც მონაკვეთი 2 – სტარტი
17:00 - სპეც მონაკვეთი 2 - ფინიში
20:00 – დაჯილდოების ცერემონია

3. ოფიციალური პირები

ღონისძების ხელმძღვანელი(Race Director) : გიგა მურღულია
შეჯიბრის კომისარი(Clerk of the Course): დავით მჭედლიშვილი
მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცერი (Competitors Relations Officer): ალექსანდრე უჯმაჯურიძე
უსაფრთხოების ოფიცერი (Chief Safety Officer): მიხეილ მახოშვილი
სპორტული დელეგატი (Sporting Delegate): გარიკ კოგოსოვი
სამედიცინო ოფიცერი (Chief Medical Officer): კახა ჩიხრაძე
სამედიცინო ოფიცერის მოადგილე (Deputy Medical Officer): კოტე მელნიჩუკი
ტრასის მეთაური (Stage Commander): დავით მამუკაშვილი
ტრასის მეთაურის მოადგილე (Deputy Stage Commander): მიხეილ დეპადელი
ტექნიკური კომისარი (Chief Scrutineer): ლევან გუგულაშვილი
ტექნიკური დელეგატი (Technical Delegate): შალვა ზამთარაძე
შეჯიბრების მდივანი (Secretary of the Event): ანნა მიქიანი
მედია დელეგატი (Media Delegate): მახო ყიფშიძე

4. სპეც მონაკვეთები

რალი რეიდის პირველი ეტაპი შედგება 4 მონაკვეთსგან ჯამში **250 კმ**

სპეც მონაკვეთები გაიმართება **სოფელი უდაბნოს** მიმდებარე ტერიტორიაზე.

1. საკვალიფიკაციო სპეც მონაკვეთი- 12 კმ
2. შერჩეული მონაკვეთი 1 - 73 კმ
3. შერჩეული მონაკვეთი 2 - 85 კმ
4. საგზაო სექცია 80 - კმ

5. დაშვებული ტექნიკა

5.1 შეჯიბრშებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მოტოციკლს, კვადროციკლს, ბაგის და ავტომობილს რომელიც აკმაყოფილებს, მოცემული კატეგორიების უსაფრთხოების და ტექნიკურ მოთხოვნებს.
(იხ დანართი)

6. კატეგორიები და კლასები

6.1 მოტოციკლები T1

6.1.1 250cc-მდე

6.1.2 250cc-ს ზევით
2T კოეფიციენტი - 1.6

6.2 კვადროციკლები T2

6.2.1 ძრავის მოცულობით 250cc-მდე

6.2.2 ძრავის მოცულობით 250cc-ს ზევით
2T კოეფიციენტი - 1.6

6.3 სერიულად წარმოებული ბაგები SSV T3

6.3.1 ძრავის მოცულობით 1000cc-მდე

6.3.2 ძრავის მოცულობით 1000cc-ს ზევით
ტურბოს კოეფიციენტი - 1.6

6.4 სერიულად წარმოებული ძარიანი ავტმობილეიბი T4

- ყველა ავტომობილი რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს იასპარეზებს ერთ კლასში.

6.5 არასერიული სპორტული ავტომობილები (პროტოტიპი) T5

- ყველა ავტომობილი რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს იასპარეზებს ერთ კლასში.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ კლასი არ შედგა მრბოლელი იასპარეზებს აბსოლუტურ ჩათვლაში.

5 მონაწილე არის კლასი

7. რეგისტრაცია და საფასური

7.1 რეგისტრაცია შეუძლია ყველა პირს ვინც არის 18 წელს ზემოთ, გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მართვის მოწმობა და აკმაყოფილებს რეგლამენტით დაგენილ ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებს.

7.2 რეგისტრაციისთვის მონაწილემ უნდა შეავსოს განაცხადის ფორმა და გადაიხადოს რეგისტრაციის საფასური.

7.3 განაცხადის ფორმაზე საკუთარი ხელმოწერით, ეკიპაჟის ყოველი წევრი იღებს ვალდებულებას, დაემორჩილოს ამ რეგლამენტის, შეჯიბრის ორგანიზატორთა, საქართველოში მოქმედი საგზაო მოძრაობის წესების და სხვა მარეგლამენტირებელი დოკუმენტების მოთხოვნებს.

7.4 რეგისტრაციის ბოლო ვადა არის 25 მაისი 2023

7.5 რეგისტრაციის საფასური ეკიპაჟისთვის არის:

- 15 მაისამდე:
  250 ლარი - T1, T2 - კატეგორიაში
  350 ლარი - T3,T4, T5 კატეგორიაში
- 15 მაისის შემდეგ:
  350 ლარი - - T1, T2, - კატეგორიაში
  500 ლარი -T3, T4, T5 კატეგორიაში

7.6 რეგისტრაციის საფასური უნდა იყოს გადახდილი ორგანიზაციის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, დანიშნულებაშ უნდა იყოს მიუთითოთ პილოტის სახელი და გვარი.

რეკვიზიტები:

მიმღების ბანკი სს ბანკი ქართუ ბანკის კოდი CRTUGE22
მიმღების დასახელება: ა(ა)იპ სათავგადასავლო რალი
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE05CR0120009486433608

7.8 საფასურში შედის :

- ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება
- სარბოლო სტიკერები
- დაბეჭდილი საგზაო წიგნი
- რალის გზამკვლევი
- GPS თრექერის ქირაობა
- სამედიცინო დახმარება
- მოტოციკის ან კვადროციკლის ევაკუაცია გაჭედვის ან დაზიანების შემთხვევაში ბივუაკამდე
- პერსონალური სივრცე ბივუაკში
- ფოტო გადაღება
- რალის ფილმი
- დაჯილდოების ცერემონია

7.9 რეგისტრაციის საფასური სრულად ანაზღაურდება თუ გარკვეული მიზეზების გამო ღონისძიება გაუქმდება ან მონაწილე გააუქმებს რეგისტრაციას ღონისძებამდე 10 დღით ადრე და აცნობებს ორგანიზატორებს წერილობით.

7.10 რეგისტრაციის საფასური ანაზღაურდება 90%-ით თუ მონაწილის მანქანა ვერ გაივლის ტექნიკურ შემოწმებას ან ვერ დააკმაოფილებს უსაფრთხოების მოთხოვენბს.

8.სასტარტო ნომრები

8.1 სასტარტო ნომრები მიენიჭებათ შემდეგი განრიგით:

- T1 – 101 დან 199-მდე
- T2 – 201 დან 299-მდე
- T3 – 301 დან 399-მდე
- T4 – 401 დან 499-მდე
- T5- 501 დან 599-მდე

8.2 სასტარტო ნომრების გაცემა მოხდება კენჭისყრით.

9. სავალდებულო წარწერები, რეკლამირება

9.1 T1 და T2 კატეგორიებზე სავალდებულოა განთავდეს შემდეგი სტიკერები:

- ორგანისატორების სპონსორის სტიკერები 40x20 ორივე გვერდზე
- სასტარტო ნომერი წინა და უკანა მხარეს
- შეჯიბრის სპონსორის სტიკერი ჩაფხუტზე

9.2 T3, T4, T5 კატეგორიებზე სავალდებულოა განთავსდეს შემდეგი სტიკერები:

- შეჯიბრის სპონსორების სტიკერები 70x30სმ-ზე წინა ბამპერზე
- 2 სასტარტო ნომერი 70x20სმ წინა კარებებზე
- 1 სასტარტო ნომერი 50x50სმ ავტომობილის სახურავზე
- მრბოლელების სახელები და გვარები, ქვეყნის დროშები და სისხლის ჯგუფები უკანა გვერდზე, უკანა ფანჯრებზე არსებობის შემთხვევაში.
- შეჯიბრის სპონსორის სტიკერი ჩაფხუტზე

9.4 მონაწილეეებს აქვთ უფლება განათავსონ თავიანთ სარბოლო ავტომობილებზე ნებისმიერი სახის რეკლამა, თუ ის:

- არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
- არ ფარავს ხედს მძღოლის ადგილიდან.
- არ ეწინააღმდეგება მორალისა და ეთიკის ნორმებს.

- მისი შინაარსით არ არის პოლიტიკური ან რელიგიური.
- არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის.
- არ იკავებს სავალდებულო წარწერებისა და სასტარტო ნომრის ადგილებს.
- არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების რეგლამენტს.

9.5. სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების დამატებითი პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის რეგლამენტით

10. შეჯიბრის ჩატარების წესები და განმარტებები

10.1 ბრიფინგი

გენერალურ ბრიფინგზე გამოცხადდება ყველა აუცილებელი ინფორმაცია რაც უნდა გაითვალისწინონ მონაწილეებმა. ბრიფინგი მოიცავს შეჯიბრების პრეზენაციაც, სარბოლო მონაკვეთების, საგზაო წიგნის, უსაფრთხოების წესების, დროის კონტროლსა და ჯარიმების ნუსხის განხილვას.
ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი აუცილებლად უნდა დაესწროს გენერალურ ბრიფინგს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკიპაჟი დაჯარიმდება.

10. 2 კვალიფიკაცია (QS)

საკვალიფიკაციო ეტაპი მოეწყობა პირველ სპეც მონაკვეთამდე (SS1).
კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით მოხდება სტარტის განრიგის განაწილება.

10.3 დროის ფურცელი (Time Card)

სპეციალური ფურცელი რომელიც გადეცემათ მონაწილეებს წინა სასტარტო ბრიფინგებზე, სადაც მსაჯი დაუფიქსირებს სტარტის, საკონტროლო პუქტების აღების და ფინიშის დროებს. დროის ფურცლის დაკარგვა გამოიწვევს მონაწილის დაჯარიმებას 5 წუთით.

10.4 საგზაო წიგნი (Road Book)

საგზაო წიგნი არის გზის გამკვლევი ლეგენდა, ეკიპაჟები ვალდებულები არიან მიყვნენ საგზაო წიგნში მითითებულ მიმართლებებს, სიჩქარის შეზღუდვებს და სხვა მითითებებს.
საგზაო წიგნები მონაწილეებს გადაეცემათ წინა სასტარტო ბრიფინგზე.

საგზაო წიგნის აღწერა:



1. საგზაო წიგნის გვერდის ნომერი
2. შერჩეული მონაკვეთის დასახელება
3. სრული კილომეტრაჟი გვერდის პირველი უჯრედიდან შერჩეული მონაკვეთის დასასრულამდე.
4. სრული კილომეტრაჟი შერჩეული მონაკვეთის დასაწყისიდან კონკრეტულ უჯრედამდე.
5. კილომეტრაჟი წინა უჯრედიდან კონკრეტულ უჯრედამდე
6. საკონტროლო პუნქტის ტიპის ნიშანი (TC, CP..)
7. გრაფიკული აღწერა მიმართულების, სიტუაციის და დაბრკოლების აღნიშნულ კილომეტრზე
8. მითითება აღნიშნული კილომეტრაჟის შემდგომ, ასევე სიჩქარის შეზღუდვა
9. საკონტროლო პუნქტის ნუმერაციის ადგილი

10.5 ბივუაკი (Bivuac)

- სპეციალური ზონა პირველი დღის ბოლო დროის კონტროლის პუნქტს და მომდევნო დღის სტარტს შორის, სადაც ყველა ავტომობილი იქნება შეკრებილი და ავტორიზებული იქნება ავტომობილების შეკეთება.
- ბივუაკში იქნება განთავსებული ოფიციალური შენიშვნების დაფა სადაც გამოქვეყნდება დღის შედეგები და ცვლილებები რეგლამენტში
- სერვისის ზონაში ავტომობილების შეკეთების დროს დაფენილი უნდა ქონდეთ სპეციალური ზედაპირის დამცავი შრე, რათა დაიცვას ნიადაგი დაბინძრუბისგან.

- ეს ზონა მითითებული იქნება საგზაო წიგნში. ბივუაკში მაქსიმალური სიჩქარე არის 20კმ სთ. მისი გადაჭაჭარბება გამოიწვევს ჯარიმას 5 წუთით.

10.6 დახურული პარკი (PARC FERME)

- განსაზღვრული ზონა სადაც ავტომობილები უნდა გაჩერდნენ ტექნიკური შემოწმებისა და ბოლო სპეც მონაკვეთის დაფინიშების შემდეგ.
- ამ ზონაშ აკრძალულია ავტომობილების შეკეთება ან დეტალების შეცვლა, გარდა ორგანიზატორების სპეციალური მითითებისა.
- დახურულ პარკში ავტომობილი უნდა დაიქოქოს მიწოლის გარეშე, თუ ეს ვერ მოხერხდა მონაწილე დაჯარიმდება 1 წუთით.
- მონაწილეებს მიეცემთ უფლება ავტომობილები გამოიყვანონ დახურული პარკიდან 20 წუთით ადრე სტარტამდე.

10.7 მაქსიმალური დრო (MAXIMUM TIME)

მაქსიმალური განსაზღვრული დრო, დადგენილი ორგანიზატორების მიერ რომელიც მითითებული იქნება საგზაო წიგნში, საკონტროლო ფუნქტების გასავლელად.

10.8 საგზაო სექცია (ROAD SECTION)

მარშრუტის ნაწილი რომელიც გადის საზოგადოების მოხმარების ღია გზაზე, ამ მონაკვეთზე მონაწილეები უნდა დემორჩილონ საგზაო მოძრაობის წესებს და სიჩქარის შეზღუდვებს.

10.9 შერჩეული მონაკვეთი (SELECTIVE SECTION)

სპეციალურად შერჩეული მარშრუტის მონაკვეთი, რომელიც შეიძლება გადიოდეს საზოგადოებისთვის განკუთვნილ ან გაუკვალავ გზებზე, ასეთ მონაკვეთზე მრბოლელებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ.

10.10 სამიზნე დრო (TARGET TIME)

დრო რომელიც მოცემულია საგზაო სექციის ან შერჩეული სექციის გასავლელად, მონაწილე უნდა ჩაეტიოს ზუსტად ამ დროში, მისი გადაცილება ან ადრე დაფიქსირება გამოიწვევს დაჯარიმებას.

10.11 სიჩქარის დარღვევა (INFRINGEMENT)

10.11.1 სიჩქარის დარღვევა არის საგზაო წიგნში მითითებული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბება. მეორე დარღვევა იქნება მაშინ, როდესაც სიჩქარის ერთი ან რამდენიმე შემთხვევა მოხდება სიჩქარის ახალი კონტროლის ზონაში. ღონისძიების დროს განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, მე -3 დარღვევამ (3 სხვადასხვა ზონაში) შეიძლება გამოიწვიოს დისკვალიფიკაცია, ამის შესაღებ გადაწყვეტილებას იღებს სპორტული კომიტეტი.

10.11.4 ავტომობილების სიჩქარე გაიზომება GPS თრექერის მეშვეობით, სიჩქარის გადაჭარბებებზე დაწესებული იქნება ფულადი ჯარიმები, რომლებიც მითითებული იქნება გამოქვეყნებულ საჯარიმო ნუსხაში.

10.12 სტარტი (START)

10.12.1 სტარტს აიღებს მხოლოდ ის მონაწილე რომელმაც წარმატებით გაიარეა ტექნიკური კონტროლი და დააკმაყოფილა უსაფრთხოების მოთხოვნები.

10.12.2 სტარტს აიღებენ მონაწილეები საკვალიფიკაციო შედეგების მიხედვით

10.12.3 სტარტის აღება კატეგორიების მიხედვით იქნება შედეგი:

1. T1 მოტოციკლები
2. T2 კვადროციკლები
3. T3 SSV ბაგები
4. T5 სპეციალური სარბოლო ავტომობილები
5. T4 სერიული ძარიანი ავტომობილები.

10.12.4 სტარტს აიღებენ მონაწილეები 3 წუთის ინტერვალით

10.12.5 სტარტის ადგილი მითითებული იქნება საგზაო წიგნში.

10.12.6 სტარტს აიღებს ეკიპაჟი როდესაც მიუთითებს მათ მარშალი.

10.12.7 სტარტზე დროის ათვლა ხდება წამის სიზუსტით.

10.13 დროის კონტროლი (TC)

10.13.1 დროის კონტროლი აქტიურდება მაშინ, როცა ავტომობილი შედის დროის კონტროლის ზონაში.

10.13.2 დროის კონტროლის მანიშნებელ დაფასა და დროის კონტროლის დაფას შორის ავტომობილის გაჩერება ან არანორმალურად დაბალი სიჩქარით სიარული არის აკრძალული და გამოიწვევს დაჯარიმებას.

10.13.3 დროის კონტროლი დაფიქსირდება მაშინ, როცა ავტომობილი და ეკიპაჟის ორივე წევრი ერთად შევლენ დროის კონტროლის ზონაში.

10.13.4 დროის ფურცელში დაფიქსირდება ის დრო, როდესაც ეკიპაჟის ერთ ერთი წევრი მიაწვდის დროის ფურცელს მარშალს.

10.13.5 მარშალმა ბეჭდით ან წერილობით უნდა მიუთითოს დროის ფურცელზე ფურცლის მიღების დრო და დაუბრუნოს ეკიპაჟს. დროის დაფიქსირება ხდება წუთის სიზუსტით.

10.13.6 დროის ფურცელში სწორი დროის მითითების გაკონტროლება არის ეკიპაჟის ვალდებულება, ის უნდა ემთხვეოდეს დროის კონტროლის მაგიდაზე განთავსებულ საათის დროს.

10.13.7 ეკიპაჟი არ დაჯარიმდება თუ ავტომობილი საკონტროლო ზონაში შევიდა მისთვის განკუთვნილ დროს.

10.13.8 ყველა სხვაობა აქტუალურ დაფიქსირებულ დროსა და სამიზნე დროს შორის გამოიწვევს ეკიპაჟის დაჯარიმებას:

- დაგვიანების დროს 10 წამიანი ჯარიმა ყოველ 1 წუთზე
- ადრე შესვლის დროს 10 წუთანი ჯარიმა ყოველ 1 წუთზე

10.14 გავლის კონტროლი (CP)

10.14.1იმისათვის, რომ შემოწმდეს მონაწილეები ემორჩლებიან თუ არა საგზაო წიგნში მითითებულ მარშრუტს, მოწყობილი იქნება გავლის კონტროლის პუქნტები, ისინი მითითებული და დანომრილი იქნება საგზაო წიგნში.

10.14 მონაწილემ უნდა შეაჩეროს ავტომობილი და მიაწოდოს დროის ფურცელი მარშალს. მარშალმა უნდა დაურტყას ბეჭედი დროის ფურცელზე და დაუბრუნოს ეკიპაჟს, ყოველგვარი მითითების გარეშე.

10.14.2 გავლის კონტროლის აღების დრო ითვლება წუთის სიზუსტით.

10.14..4 გავლის კონტროლის გამოტოვება გამოიწვევს დაჯარიმებას 1 საათით.

10.15 ფინიში (FINISH)

- ფინიშის ზონა განსაზღვრეული იქნება სპეციალური ნიშნულით, ყვითელი ნიშანი ფინიშამდე 5კმ-თი ადრე, ხოლო წითელი უშუალოდ ფინიშის ზოლზე.
- ფინიშს დრო დაფიქსირდება როდესაც ავტომობილი გაცდება წითელ ნიშნულს.
- ფინიშის დრო დაფიქსირდება წამის სიზუსტით.
- დაფინიშება ჩაითვლება თუ ეკიპაჟი ფინიშზე გამოცხადდება სრული შემადგენლობით.
- დაფინიშების დრო მარშალმა უნდა დააფიქსიროს დროის ფურცელში.
- პირველი შერჩეული მონაკვეთს შემდგომ ავტომობილი უნდა გაჩერდეს სერვისის ზონაში რომელიც მოწყობილი იქნება ბივუაკში, სერვისის ზონაში შესვლის და გამოსვლის დრო ასევე უნდა დაფიქსირდეს დროის ფურცელში.
- ბოლო შერჩეული მონაკვეთის შემდგომ დაფინიშების შემდგომ ავტომობილი უნდა გაჩერდეს დახურულ პარკში

11.პროტესტი, აპლეაცია

11.1. აპელაცია დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ ის ექვემდებარება სპორტული კოდექსის მოთხოვნებს და მისი ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასო) ლარს.
11.2. თუ პროტესტი ითვალისწინებს მოცემულ შეჯიბრებაში მონაწილე რამოდენიმე ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, მაშინ პროტესტი უნდა გაცხადდეს თითოეული ავტომობილის საწინააღმდეგოდ, ცალ–ცალკე, ხოლო ფულადი შესატანის თანხა
მრავლდება პროტესტის ქვეშ არსებული ავტომობილების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პროტესტის განხილვისათვის საჭიროა ავტომობილის ნაწილის დათვალიერება ან მისი

დაშლა, პროტესტის შემომტანმა ტექნიკური გირაოს სახით უნდა შემოიტანოს თანხა, რომელიც პროტესტის განსახილველად შემოტანილი თანხის ტოლფასია. პროტესტი არ შეიძლება შეტანილი იქნას ავტომობილზე სრულად. უნდა იქნეს მითითებული ავტომობილის ცალკეული პარამეტრები, რომელთა შემოწმებაც განიხილება.

12. გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოვება

18.1. გამარჯვებულად გამოვლინდება ის ეკიპაჟი ვისაც ექნება ნაკლები დრო.
18.2. დაჯილდვოება ცერემონია გაიმართება 28 მაისს 19:00 საათზე
18.3. პირველიდან მესამე ადგილის ჩათვლით მონაწილეები დაჯილდოვდებიან სიგელებით და მედლებით.
18.4. მატერიალურ პრიზებს უზრუნველყოფენ სპონსორები.
18.5. ოფიციალური შედეგები გამოქვეყნდება რალი რეიდის ოფიციალურ ვებ გვერდზე : www.rallyraid.ge